თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 25 მაისის სხდომის ოქმი #4

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი, პროფ. თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი–20, სტუდენტები – 3, სულ –23 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფი სამსახურის უფროსი,პროფ. ე. ხარაიშვილი/

8. მიმდინარე საკითხები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქ–მა ე. ხარაიშვილმა ითხოვა დღის წესრიგში ცვლილების შეტანა, კერძოდ:

1. დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნას საკითხი: თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ;
2. დღის წესრიგს დაემატოს საკითხი: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2017–2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი აღიშული ცვლილების გათვალისწინებით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 23**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 25 მაისის #4 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: 1990 წელს თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის *(დღე, დაუსწრებელი),* საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის *(დღე),* მშენებლობის ეკონომიკისა და ორაგნიზაციის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი),* კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის *(დაუსწრებელი),* ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის *(დღე)* და ეკონომიკური კიბერნეტიკის *(დღე)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა, საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის აღდგენის თაობაზე განცხადებით მომართა ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის 1990 წლის კურსდამთვრებულ **მამუკა მიხეილის ძე კობერიძემ** რუსული ოკუპაციის დროს დიპლომის დაკარგვის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მამუკა კობერიძის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი

უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და თსუ არქივის მიერ წარმოდენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **მამუკა მიხეილის ძე კობერიძე** 1983 წელს ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობაზე (ბრძანება №5651/10, 20.04.2017). საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გამო II კურსის სტუდენტს 1984 წლის 20 დეკემბრიდან 1986 წლის 20 დეკემბრამდე მიეცა აკადემიური შვებულება (ბრძანება №4/1226, 26.12.1984). 1986 წელს კი საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული აღდგენილი იქნა სტუდენტის უფლებებში თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის სწავლების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობის II კურსზე (ბრძანება №4/470, §7, 05.07.1986).

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1990 წლის 21 ივნისის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1990 წლის 1 აგვისტოს №4/573 ბრძანებით საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ მამუკა მიხეილის ძე კობერიძეს მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის“ სპეციალობით, ხოლო თსუ რექტორის ბრძანებით „საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის“ სპეციალობაში და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1990 წელს დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი ФВ №068489 (სარეგისტრაციო №01/2193) რეგისტრირებულია მამუკა მიხეილის ძე კობერიძის სახელზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისია შეეცადა გაერკვია იმ სპეციალობის დასახელება, რომელიც დაამთავრა მამუკა კობერიძემ. საარქივო დოკუმენტებიდან დადგინდა, რომ მამუკა კობერიძე ჩაირიხა საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობაზე, ხოლო შემდეგ საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნებულმა სწავლა გააგრძელა „საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობაზე. იგივე სახელწოდებებია დაფიქსირებული მამუკა კობერიძის სახელზე წარმოებული სტუდენტის სასწავლო ბარათებზე (მის სახელზე რეგისტრირებულია ორი სასწავლო

ბარათი) და საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ 1983-1990 სასწავლო წლებში წარმოებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალებშიც. მამუკა კობერიძის სახელზე გამოცემულ ყველა სამართლებრივ აქტში სპეციალობის სახელწოდებად დაფიქსირებულია „საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია“. ასევე, მამუკა კობერიძის სახელზე გაცემულ დიპლომის დანართში აღნიშნულია, რომ იგი „1983 წლიდან 1990 წლამდე სწავლობდა საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობაზე“. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმზე სპეციალობის დასახელების შესახებ რუსულ ენაზე გაკეთებულია ჩანაწერი „Экономика и организация бытового обслуживания“, რომელიც ითარგმნება როგორც „საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, მიზანშეწონილია ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმში დაშვებულია შეცდომა და სპეციალობაში „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის“ ნაცვლად უნდა იყოს „საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია“.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1990 წელს საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 9 ოქმი. მათგან 2 ოქმზე დაფიქსირებულია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი) და ოქმის ნომერი, 7 ოქმზე დაფიქსირებულია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი) და არ აქვთ მინიჭებული ნომერი.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ტარიელ გიორგი ძე ჯაბაური; წევრები: ნ. ნ. პაიჭაძე, დ. პ. ძნელაძე, პ. დ. ჩაგელიშვილი, ს. კ. ჩოჩიშვილი, გ. ი. ჩანადირი, ვ. ა. ენუქიძე, თ. მ. ლუტიძე)* მიერ 1990 წლის 9 ივნისს და 30 ივნისს წარმოებულია თითო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი და მათი ნომერია №4.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: მირონ კარლოს ძე ტუღუში; წევრები: ალექსანდრე ზურაბის ძე ტატიშვილი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კუჭუხიძე, ნოდარ სიკოს ძე ბიჭიაშვილი, მიხეილი მიხეილის ძე კიკნაძე, ოთარ კონსტანტინეს ძე ავალიშვილი, ზაირა თევრორეს ასული ღუდუშაური, ომარ მიხეილის ძე გიგიაშვილი, ლია ანდროს ასული კაპანაძე)* მიერ 1990 წლის 21 ივნისს წარმოებულია ხუთი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი. არც ერთ ოქმზე არ არის დაფიქსირებული ნომერი.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: თ. ს. რატიანი; წევრები: ვ. ა. ტუღუში, მ. გობეჯიშვილი, თ. ს. ბარამიძე (კათედრის გამგე), დოც. გ. ლ. პარკაძე, დოც. მ. ვ. მაღრაძე, დოც. ვ.*

გოგიჩაიშვილი, უფ. მასწ. მ. კონიაშვილი, უფ. ლაბ. ჯ. ბოლაშვილი) მიერ 1990 წლის 22 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული ნომერი.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.კ. სერგო კარლოს ძე სანაძე; წევრები: დოც. თ. ს. ბარამიძე, დოც. კ. კ. აჩელაშვილი, დოც. ი. შ. ანანიაშვილი, დოც. ვ. გ. მათურელი, პროფ. ვ. გ. პაპავა, დოც. ქ. ზ. კვიციანი, დოც. ა. ა. დავითაია; მდივანი: დ. გ. კონიაშვილი)* მიერ 1990 წლის 29 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი, რომელზეც ნომერი არ არის დაფიქსირებული.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სხვადასხვა კომისიის მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამჟამად, დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნად ასო „პ“-ს დამატება. ამასთან, მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს კომისიების და თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნება რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც.

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მესამე კომისიის მიერ *(კომისიის თავმჯდომარე: თ. ს. რატიანი; წევრები: ვ. ა. ტუღუში, მ. გობეჯიშვილი, თ. ს. ბარამიძე (კათედრის გამგე), დოც. გ. ლ. პარკაძე, დოც. მ. ვ. მაღრაძე, დოც. ვ. გოგიჩაიშვილი, უფ. მასწ. მ. კონიაშვილი, უფ. ლაბ. ჯ. ბოლაშვილი)* წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმში სპეციალობის დასახელებაში სავარაუდოდ დაშვებულია შეცდომა. ოქმში ქართულად გაკეთებულია ჩანაწერი „ეკონომიკური მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია“, ხოლო რუსულად - „Организация механизированной обработки эконорической информации“. ფაკულტეტზე მოძიებული იმ პერიოდის საარქივო მასალებიდან და მომუშავე პერსონალთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ სპეციალობის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 1990 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 9 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №4, 9.06.1990.***
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 30 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №4, 30.06.1990.***

2. აღდგენილად ჩაითვალოს 1990 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის *(დღე)*, მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* და კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის *(დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულ-თათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - შესწორებული იქნეს სპეციალობის დასახელებაში დაშვებული შეცდომა და „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის“ ნაცვლად სპეციალობის სახელწოდებად მითითებულ იქნეს **„საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია“**.

     ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს *(მ.შ. მამუკა მიხეილის ძე კობერიძე)* ***ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1990 წლის 21 ივნისი*** და ნომრად ***№1/3***;

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1990 წლის 21 ივნისი*** და ნომრად ***№2/3***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1990 წლის 21 ივნისი*** და ნომრად ***№3/3***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1990 წლის 21 ივნისი*** და ნომრად ***№4/3***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1990 წლის 21 ივნისი*** და ნომრად ***№5/3***.

3. აღდგენილად ჩაითვალოს 1990 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის *(დღე)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - შესწორებული იქნეს სპეციალობის დასახელებაში დაშვებული შეცდომა და „ეკონომიკური მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის“ ნაცვლად სპეციალობის სახელწოდებად მითითებულ იქნეს **„ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია“**.

     ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკური მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1990 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№1/3***.

4. აღდგენილად ჩაითვალოს 1990 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკური კიბერნეტიკის *(დღე)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკური კიბერნეტიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციის*** მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 29 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1990 წლის 29 ივნისი*** და ნომრად ***№1/3.***

5. ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ 1990 წლის ივნისის თვეში წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1. საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1982 წლის 9 და 30 ივნისის სხდომის ოქმები; 2. საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1990 წლის 21 ივნისის სხდომის ოქმები; 3. საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 22 ივნისის სხდომის ოქმი და 4. საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1990 წლის 29 ივნისის სხდომის ოქმი)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2017–2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2017-2018 სასწავლო წლის დოქტორანტურაში მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა – 30 ადგილი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა – 30 ადგილი;
- ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა – 5 ადგილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2017–2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ადგილები შემდეგი განაწილებით:

1. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა – 30 ადგილი;
2. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა – 30 ადგილი;
3. ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა – 5 ადგილი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის „ქცევის ეკონომიკა“ სილაბუსში ტექნიკური ხარვეზის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელის, პროფ. ე. მექაბიშვილის მოხსენებითი ბარათი #2085/29, 06.03.2007, სადაც აღნიშნულია, რომ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის „ქცევის ეკონომიკა“ სილაბუსში გაიპარა ტექნიკური ხარვეზი: დაშების წინაპირობაში მითითებულია სასწავლო კურსი „მიკროეკონომიკა 2“, რაც არის შეცდომა და უნდა იყოს „წონაპირობის გარეშე“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: გასწორდეს თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის „ქცევის ეკონომიკა“ სილაბუსში აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფ. ე. მექაბიშვილისთვის ივ. ჯავახიშვილის მედლის გადაცემა

ფაკულტეტის დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. ბერიძემ პროფ. ე. მექვაბიშვილს მიულოცა და საზეიმო ვითარებაში გადასცა ივ. ჯავახიშვილის მედალი.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: ასოც. პროფ. ნ. ხარაძის ინფორმაცია ,ადამიანური პოტენციალის მართვის" ლაბორატორიის სტუდენდების მიერ ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის შესახებ ორგანიზაციულ კულტურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ანკეტების შევსების დროს ფაკულტეტის ადმინისტრაციის ზოგიერთი თანამშრომლის მხრიდან სტუდენტებს შეექმნათ პრობლემები. მან ფაკულტეტის დეკანს სთხოვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეაგირება.

ასოც. პროფ. ნ. ხარაძემ ასევე მადლობა გადაუხადა ფაკულტეტის თანამშრომლებს და აკადემიურ პერსონალს გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებისთვის.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფ: თ. ბერიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე